**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | . . | 10 მ. — კ. |
| 11 ,, | . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 ,, | . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 ,, | . . | 8 ,, — ,, |
| 8 ,, | . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 ,, | . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 ,, | . . | 6 ,, — ,, |
| 5 ,, | . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 ,, | . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 ,, | . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 ,, | . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 ,, | . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 223 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 223

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

**„ივერიის“ რედაქცია** ამით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ პარასკევს, 1 ოკდომბერს, კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება მესსა (წირვა) და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

**სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის**

სულის მოსახსენებლად და სთხოვს მის ხსოვნის პატივის-მცემელთ დაესწრონ ღვთის მსახურებას. (4—რ.—3).

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . 3 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . . 1 „ 75 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საჩხერეში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**ბორჯში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“. (40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო-მერკვილაძე.

## ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, ღ. ჯ.-ს. (0—უ—1).

ექიმი ქალი

**მარიამ ნიკოლოზის ასული**

**ზაალიშვილისა**

გადავიდა ტფილისიდგან ქალაქ გორში, ერისთავის სახლებში. (2—2).

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

დოქტორი მედიცინისა

## გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20. (30—13).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

## ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

სამშაბათს, 28 სეკდემბერს, წარმოდგენ. იქნება

## კარმენ

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ბიზესი.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი დონსკაია-ეიხენვალდი, ნიკიტსკისა, შიხუცკაია-მინჩენკო, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი დონსკოი, ობრაზცოვი, სპერანსკი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. **ბეცევიჩი**. კაპელმეისტერი ნიკ. მიკლაშევსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

ოთხშაბათს, 29 სეკდემბერს, წარმოდგენილი იქნება

## ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმ. 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

ხუთშაბათს, 30 სეკდემბერს, წარმოდგენილი იქნება

## რიგოლეტტო

ოპერა 5 მოქ., მუს. ვერდისა.

შაბათს, 2 ოკდომბერს, 1-ლი «გალა» წარმოდგენა ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით.

წარმოდგენილი იქნება

## იოან ლეიდენსკი

მუსიკა მეიერბერისა.

მზადდება პირველად ტფილისში «**ნერონი**», მუსიკა ა. რუბინშტეინისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: книжная торговля Іос. Зах. Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

ა. **ი. ბალარჯიშვილი**—ბავშვებისა, 9½—10½ ს.

ნ. **ტ. მუღინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

ლ. **ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

მ. **ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაძბ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. 11½—12½ საათ.

მ. **ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

დ. **ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

ა. **ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა 12½—1½ საათ.

ზრ. **ვ. სოკოლოვსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

პ. **ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

ლ. **მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

ვ. **ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

**საღამოთი:**

ზრ. **ვ. სოკოლოვსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

ტ. **ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274

(წ.)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—უორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

უ. **მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. **ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. **ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. **ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. **ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. **პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. **სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

ნ. **ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ზ. **ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. **ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. **ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

იაპონელების წინ წამოსვლა.—ჩინელების მილიცია.—მანჯურიის ლაშქრების სარდლები.—წვრილი ამბები.—იაპონიის სტატისტიკიდან.

ლიაოიანის აღების შემდეგ იაპონელები შეჩერებულნი იყვნენ. ქვეითი ჯარი მხოლოდ 19 სეკდემბერს წამოვიდა რკინის გზის ლიანდაგის გამოსწვრივ. ერთმა როტამ ჩვენი მზვერავი რაზმები უკუ-აქცია, მაგრამ თითონაც ჩვენს ჩასაფრებულს ჯარს წააწყდა. ეტყობა, ეს იაპონელების როტა დასაზვერავად ყოფილა გამოგზავნილი.

20 სეკდემბერს იაპონელების ორი ესკადრონი ჩვენს ჯარს მოუახლოვდა 1,600 ნაბიჯზე; ჩვენებმა თოფი დაუშინეს, ოთხი მეომარი მოჰკლეს და მრავალი დასჭრეს. იაპონელები უკუ-იქცნენ და მოკლულ-დაჭრილებიც წაიყვანეს. ამ დღეებში დიდი ამბები უნდა მოხდეს. სიცივე არ შესუსტებულა. (რ. ს.).

—

მუკდენიდგან იწერებიან, იაპონელები ჩინელებს მოჯამაგირედ იჭერენ და მათგან ჯარს აგროვებენ. ლინჩაიში ამას წინად სააგენტო აღმოაჩინეს, რომელიც კარგა იყო მოწყობილი და დიდს მანძილზედ მოქმედობდა. აგენტთა შორის ჩინეთის პრინციც ყოფილა, სახელად ლინსი, იმპერატორის ნათესავი, რომელიც ლინჩაიში სცხოვრობდა და მეფის საგვარეულო აკლდამების მცველად ითვლებოდა. ეხლა დამტკიცებულია, რომ იაპონელებს ჩინელების მილიცია შეუდგენიათ და ძველ თოფებით შეუიარაღებიათ. ეს მილიცია ჯერ ვერ იჩენს მამაცობას. იაპონელები არა მალავენ, რომ ჩინელების მილიცია ჰყავთ. ამისთანა საქციელი იაპონელებს ჩინეთის ნეიტრალიტეტის დარღვევად არ მიაჩნიათ. (ბ. ვ.).

—

გაზეთი «რუსი» ამბობს: საჭიროდ მიგვაჩნია უარ-ვყოთ ის ხმები, რომელიც ქალაქში ტრიალებს, და დარწმუნებით აღვნიშნოთ, რომ მანჯურიის ორივე ლაშქრის სარდალთა შორის მეგობრობა, გულითადი თანაგრძნობა და სათნოება სუფევს. ამ დღეებში გენერალ-ადიუტანტ გრიპპენბერგმა დეპეშა მიიღო მუკდენიდგან გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინისაგან, რომელიც რჩეულის სიტყვებითა და სრულის თანაგრძნობით ულოცავს ახალ თანამდებობის მიღებას, იგონებს თურქესტანს, სადაც ორივეს ერთად უმსახურნიათ, და ბოლოს ამბობს: «დარწმუნებული ვარ, რომ აქ ჩვენ სრულის თანხმობით ვიმოქმედებთ. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ყოველ საქმეში».

—

გაზეთ „ტანს“ მუკდენიდგან დეპეშით ატყობინებს კორესპონდენტი: აქ მოყვანილი იაპონელები ამბობენ, ჩვენმა სარდლებმა რამდენიმე ათასი ჩინელი მუშა დაიქირავა ლიაოიანში, რომელსაც ჩრდილოეთის მხრივ ამაგრებენ იმ შემთხვევისათვის, თუ რუსებმა წინ წასვლა გაჰბედეს. (რ. ვ.).

—

«ინდ. ბელგ»-ს დეპეშით ატყობინებენ ნიუჯუანიდგან 17 სეკდემბერს: აქ დიდის ინტერესით იკვლევენ, რუსის ლაშქარი რამდენ სურსათს იშოვის მანჯურიაშიო, და ამ აზრს ადგანან: ვიდრე რუსის ლაშქარი ხარბინის სამხრეთად იქმნება, ბევრს სურსათს იშოვის ადგილობრივ; ხოლო, თუ უკან დაიწია, მაშინ კი სულ რკინის გზით უნდა ზიდოს, რადგან ჩრდილო-მანჯურიაში სურსათი ნაკლებად იშოვებაო; იაპონელები კი უკეთეს გარემოებაში იქმნებიან. იაპონელების ჯარი თბილ-ტანისამოსით შეიმოსა. რკინის გზა ლიაოიანამდე განუწყვეტლივ დადის. (რ. ვ.).

—

«ბერლ. მორ. პოსტი» ამბობს, კილის ქარხანაში, სადაც საუკეთესო გემებს აკეთებენ, საიდუმლო ბიუროდგან ახალი სისტემის წყალში მავალ ნავ-გემების გეგმა დაკარგულა. ამ ქარხანას, რომელსაც «გერმანია» ეწოდება, რუსეთმა შეუკვეთა რამდენიმე ამისთანა ნავი და წინად გერმანიის ზღვათა სამინისტროსაც ორი ნავი შეუკვეთნია. ნავები საიდუმლოდ კეთდებოდა და გერმანიის სამინისტროსაგან განსაკუთრებული კომისია ჰყავდა მიჩენილი თვალ-ყურის სადევნებლად. ქარხანას შეემზადებინა კიდეც გერმანიისათვის ორი ნავი, მაგრამ კომისიას არ მიეღო, რადგან გაკეთებამდე ახალი საუკეთესო სისტემა მოეგონათ. ეს ორი ნავი ქარხანამ რუსეთს დაუთმო და გერმანიისათვის ახალ ნავების გაკეთებას შეუდგა. სწორედ ამ ახალ სისტემის გეგმა დაკარგულა. (ნოვ.).

—

შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ და ავადმყოფთა დასახმარებლად წითელ ჯვრის უმთავრეს სამმართველოს 19 სეკდემბრამდე ყულაბებითა და ეკლესიებში შეგროვილი 401,844 მან. 13 კ. მიუღია. (რ. ვ.).

—

პეტერბურგის სტამბები დიდ გაჭირვებაში არიან. ეხლანდელმა ომმა სტამბებსაც შეუმცირა სამუშაო. წიგნების გამომცემლები აღარას ჰბეჭდავენ, ეშინიათ, ვაი თუ ხარჯიც ვერ ავინაზღაუროთო.

გამოცდილი მესტამბეები კი იმედოვნებენ, ომის შემდეგ სტამბის საქმე ისევ გამოძლიერდებაო. ისინი ამბობენ, სწორედ ესე მოხდა ყირიმისა და რუს-ოსმალოს ომის შემდეგ, როდესაც სტამბას დიდ-ძალი სამუშაო გაუჩნდაო. მრავალი წიგნი დაიბეჭდება ომის გამო, როგორც ეს გერმანიაში 1871 წ. მოჰხდაო; მაშინ ბაზრები სულ ომის ამბებით აივსოო. (ნ.).

—

იაპონიის ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ცნობებით, ამ ჟამად იაპონიაში 46.304,999 მცხოვრებია. ამას რომ კუნძულ ფორმოზას მცხოვრებნიც დავუმატოთ—3,082,404,—შესდგება თითქმის 50.000,000. იაპონიაში აღწერილობა იყო 31 დეკემბერს 1873 წ. და მაშინ აღმოჩნდა 33.300,644 სული. ამ რიგად, 30 წლის განმავლობაში იაპონიას 40% შეჰმატებია.

თვით იაპონიაში ოთხკუთხს კილომეტრზე 121 მცხოვრებია (ევროპის რუსეთში 20-მდეა), ფორმოზას კუნძულზე კი—89 სული.

იაპონიაში 3,845 თავად-აზნაური ითვლება, 1.666,314—სამურაი და მდაბიო ხალხი—43.763,855. სამურაი სამხედრო წოდება იყო, რომელსაც ეხლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. წინად მხოლოდ სამურაის შეეძლო ორი ხმალი ეტარებინა; დღეს ეს ჩვეულებაც მივიწყებულია

იაპონიაში მხოლოდ 14,401 უცხოელია, მათ შორის 3,940 მანდილოსანი. უცხოელთა რიცხვში პირველი ადგილი ჩინელებს უჭირავთ: 8,043 მცხოვრებია; მათ შორის 1,657 მანდილოსანია. მეორე ადგილი ინგლისელებს უჭირავთ—2,233. ამერიკელი 1,640 კაცია, გერმანელი 662 და ფრანგი 519.

იაპონიის კუნძულების სივრცე 507,410 კილომეტრამდეა. სახნავ-სათესად ერთს მესამედზე მეტი არ გამოდგება, რადგან მთა-გორებიანი ადგილია.

იაპონიაში ითვლება 1.533,204 ცხენი და 1.676,234 მსხვილ-ფეხი საქონელი.

ხელფასი მეტად მცირეა იაპონიაში. მაგალითად, ფეიქარი იღებს დღეში 29 სენს (29 კაპეიკს). ყველაზე მეტი ფასი დღერციკს ეძლევა, თუ ევროპიულ ტანთსაცმლის შეკერვა იცის; ხოლო იმის დღიური ფასიც კი 64 სენს არ აღემატება. მანდილოსანი ხომ მეტად მცირე ხელფასს იღებს. სოფლის მომუშავის თვიური ჯამაგირი 2—3 მანათს არ აღემატება, მანდილოსანს კი ამის ნახევარს აძლევენ. ამას კიდევ რა უშავს. ამ ათის წლის წინად ბევრად ნაკლები ყოფილა თურმე ხელფასი და თანდათან აიწია.

იაპონიის საერთაშორისო ვაჭრობა 1903 წელს 606 მილიონ იენამდე ასულა: 289 მილიონის საქონელი იაპონიიდგან გაუტანიათ და 317 მილიონისა შეუტანიათ.

იაპონიაში სახნავ-სათესი მიწა ისე მცირეა, რომ მოსავალი ხალხს არა ჰყოფნის საზრდოდ და ამიტომ ხორბლეული უცხოეთიდგან შეაქვთ. წარსულს წელს იაპონიაში შეუტანიათ 51 მილიონ იენის ბრინჯი და 10 მილიონის ფქვილი. უმთავრესი გასატანი საქონელი ყაჭ-აბრეშუმია და ფარჩეულობა.

სიგრძე იაპონიის რკინის გზებისა 4,495 ინგლისური მილია. ყველა გზები ვიწროლიანდაგიანია. სულ 370 მილიონ იენად არის დაფასებული. ამ გზებზე 1,427 მატარებელია, 4,864 სამგზავრო ვაგონი და 21,500 საბარგო. შარშან რკინის გზებს 26 მილიონი იენი მოგება დარჩენია.

იაპონიის სავაჭრო ფლოტში 1,441 ორთქლმავალია და 3,977 იალქნიანი გემი.

იაპონიის დამზოგველ-შემნახველ კასსებს შარშან 85 მილიონი იენი ჰქონია მიბარებული.

1904—1905 წლის (1 მარტიდგან 1-ლ მარტამდე) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვით, იაპონიის სახელმწიფოს შემოსავალი უნდა იყოს 230 მილიონი და ხარჯი 233 მილიონი. (ნ.).

## ტფილისი

ორშაბათს, 27 სეკდემბერს, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში იყო წირვა და ანდერძის აგება განსვენებულის სტ. კონ. ძის ზუბალაშვილისა. მესსა დაიწყო თერთმეტის ნახევარზედ და დასრულდა 1 საათზედ. ეკლესიაში გრძნობითა და აზრით სავსე სიტყვა წარმოსთქვა ბათუმის კათოლიკეთა მოძღვარმა მ. ანსელმო მღებრიშვილმა, რომელიც წინად გორში იყო მღვდლად. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ფრანგულად ახალგაზდა მღვდელმა დომინიკ მუღაშაშვილმა, სულ ბოლოს სთქვა სიტყვა ტფილისის კათოლიკეთა სამრევლო სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა ქიქოძემ.

პირველს საათზედ სამგლოვიარო პროცესია გაემართა სოლოლაკის სასაფლაოსკენ. კუბო ხელით გამოასვენეს და ხელითვე მიასვენეს სასაფლაომდე განსვენებულის პატივისმცემლებმა. გვირგვინებით სამი ამფიონი იყო სავსე.

როგორც ეკლესიასა და მის გალავანში, ისე განსვენებაზედ დიდ-ძალი ხალხი იყო. სასაფლაოს ალაყაფის კარი ბოლოს პოლიციელებმა დაჰკეტეს და ხალხს აღარ უშვებდნენ. სამარის წინაშე სიტყვები წარმოსთქვეს ქართულად: აკაკიმ, ივ. როსტომაშვილმა და ქალაქის თავის მოადგილემ თ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა რუსულად. ორს საათზედ მიაბარეს მიწას საგვარეულო სამარხში ჩვენი დაუვიწყარი მოამაგე სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

*** კვირას, საღამოს 8 საათზედ, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ სტ. კონ. ძის ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად. სოფლიდან ჩამოსულმა ღრმად მოხუცებულმა მღვდელმა ცნობილმა მამა იოანე გვარამაძემ წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა, აღნიშნა განსვენებულის ქველ-მოქმედება, ღვთის-მოყვარეობა, ეკლესიათა შენება და საზოგადოდ მისი და მის სახლობის სამაგალითო ღვაწლი ქართველობის სასარგებლოდ.

*** ავაზაკნი და ბოროტ-გამზრახველნი აღარავის ინდობენ: ოზურგეთში დასცემიან ექიმსა და გამომძიებელს სახლში და გაუცარცვავთ. უფრო დაწვრილებით საქართველოს ამბებშია ეს ამბავი მოხსენებული.

*** გუშინ დილით, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა ცნობილი ნაფიცი ვექილი კ. ნ. რეიტერი, ამას წინად გარდაცვლილ ტფილისის კომენდანტის ძმა.

*** 25 ოკდომბერს ქუთაისის ოლქის სასამართლო გაარჩევს თავ. დავით ო. ნიჟარაძის საქმეს, რომელსაც ჰბრალდება ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელთა სიტყვით შეურაცხყოფა.

*** ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის გაძარცვის საქმე (შარშან დეკემბერში გაძარცვეს) განსახილველად დანიშნულია ქუთაისის ოლქის სასამართლოში 25 ნოემბრისათვის.

*** ვაკეს ქალაქთან შემოერთებისათვის გეგმის შედგენა დაევალა მიწის მზომელს ბ-ნ ჯალალოვს. საბჭოს კომისიის უკანასკნელ სხდომაზედ დადგენილ იქმნა, რომ ამ საქმისათვის ვაკეს მემამულეთა შორის შეგროვდეს თითოეულ დესეტინაზე 4 მ. 50 კაპ.

*** ოფიციალურის ცნობებით, ბაქოში 23 სეკდემბერს ხოლერით ავად გამხდარა 19 კაცი, გარდაცვლილა 9.

*** 4 ოკდომბრისათვის ქუთაისში მოწვეულია ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრება იმ კომისიის ამოსარჩევად, რომელსაც უნდა მიენდოს შუამდგომლობის აღძვრა უმაღლესს მთავრობასთან ქუთაისში სათავად-აზნაურო პროგიმნაზიის დაარსების შესახებ. ამას გარდა, კრებამ უნდა განიხილოს და გარდასწყვიტოს, თუ რა დანიშნულება უნდა მიეცეს უმაღლესად ნაბოძებ 20,000 მან. თუ ვინიცობაა ქუთაისში პროგიმნაზიის დაარსების ნება დართეს, თავად-აზნაურობას განუზრახავს უწოდოს „ალექსის“ სახელი და დააარსოს შიგ 4 სტიპენდია მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსის სახელობაზედ.

*** როგორც «ნოვ. ობოზრ.»-ს გაუგია, განზრახვა [illegible] კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის შენობა კერძო კაცს მიჰყიდონ და აღებულ ფულით ააგონ ტფილ. კადეტთა კორპუსისათვის შენობა ვაკეში. კადეტთა კორპუსის ეხლანდელ შენობაში მოათავსებენ შტაბსა და სამხედრო უწყების ზოგიერთ დაწესებულებათ. გაზაფხულზედ შეუდგებიან ვაკეში კორპუსისათვის შენობის აგებას.

*** 26 სეკდემბერს ყარსის რკინის გზის შტოს სად. სანაინთან სატვირთო მატარებელის № 75 სამი უკანასკნელი ვაგონი ლიანდაგიდგან გადავარდა. გადავარდნის მიზეზი ის იყო, რომ ერთი ვაგონი დაზიანებული იყო. უბედურება არა მომხდარა-რა. გზა გაანთავისუფლეს. მოძრაობა განახლდა.

*** «ნოვ. ობოზრ.»-ს ჯულფიდგან, 26 სეკდემბრის თარიღით, დეპეშით ატყობინებენ შემდეგს: «ხოლერა თავრიზში საშინლად ძლიერდება. უკანასკნელ დღეებში ყოველ დღე ასი კაცი კვდება. 18 სეკდემბრის თარიღით გაზეთებში დაბეჭდილი დეპეშა ჭეშმარიტი არ არის პეტერბურგიდგან გამოგზავნილი პრივატ-დოცენტი ზლატოგოროვი».

*** 25 სეკდემბერს, ღამე, ჩაქვაში ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მოუკლავთ ჩაქვის საუფლისწულო მამულის დარაჯი. მოკლულს ტანზედ ამჩნევია რამდენიმე ჭრილობა ტყვიითა.

*** მანთაშევის ქარხანამ ბათუმში ისევ განაახლა გემების დატვირთვა ნავთიან ყუთებით. ჰფიქრობენ, რომ ქარხანა ხელ-ახლა დაიწყებს მუშაობასაო.

*** 15 ოკდომბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზებზედ შეიცვლება მატარებელთა მიმოსვლა ზამთრის წესზედ.

*** ტფილისში მოელიან გზათა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების გამგეს ტაინი სოვეტნიკს ვოლკოვს.

*** იუსტიციის სამინისტროს განზრახვა აქვს გააუქმოს სამოსამართლო პალატებისა და ოლქის სასამართლოების წევრთათვის პაგონებიან მუნდირის ფორმა და მის მაგივრად შემოიღოს მკერდზედ ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი, როგორც საჰატიო მომრიგებელ მოსამართლეებსა აქვთ ხოლმე. გამომძიებლებსა და ბრალმდებელთ კი შეეძლებათ მუნდირის ტარება.

*** რედაქციამ მიიღო ახალი ქართული წიგნი „სამაგალითო ადამიანი—სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი“, აღწერილი და მცირედ გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძის-მიერ. წიგნს დართული აქვს განსვენებულ სტეფანესი და მისის დედისა და მამის სურათები, კარგს ქაღალდზეა დაბეჭდილი, შეიცავს 80 გვერდს და ჰღირს სამ შაურად.

## საქართველოს ამბები

**ქართლი.** არბოსა და მერეთის საზოგადოება დიდს მწუხარებას უცხადებს განსვენებულის სტეფანე კონსტანტინეს ძის სახლობას,—ამ ჩვენის ქვეყნის დიდის ერთგულის და მზრუნველის დაკარგვის გამო. ყველანი იმედოვნებენ, რომ მახლობელნი განსვენებულისა, არ დასტოვებენ იმ გზას, რომელსაც ადგა განსვენებული და მასთან მისი მახლობელნიც.

**ოზურგეთი.** (ავაზაკთა თავდასხმა). 24 სეკდემბერს, საღამოს ათს საათზე, ოთხი შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველნი თავს დაესხნენ ექიმს თ. დ. ერისთავს თავისავე სახლში და გაძარცვეს. წაუღიათ ას მანეთამდის ფულად და ოქროს საათი. ერისთავთან ყოფილა აგრეთვე სტუმრად აქაური გამომძიებელი, რომელსაც ავაზაკნი ხელითაც შეჰხებიან და წაურთმევიათ ერთი ოქროს საათი და 30 მან. ფულად. ბოროტ გამზრახველნი «მშვიდობიანად მიიმალნენ».

—

**ლანჩხუთი.** ლანჩხუთში და მის არემარეს საქონლის ჭირი არის მოდებული. სამი ექიმია გამოგზავნილი. საქონელი ეხლა ისე აღარ იხოცება, მაგრამ ექიმები მაინც ჰკვლენ და გვპირდებიან, ნახევარ ფასს მიიღებთო. იმედი გვაქვს, იქნება ღმერთმა გვიხსნას ამ საშინელის ცეცხლისაგან!! ექიმები საქონელს უცრიან ჭირს. ხალხი საშინლად დაღონებული არის. ვისაც უნდა შეხვდე, ყველა ასე გაიძახის: «უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო»; სიმინდი პეპელამ გაგვიფუჭა. ახალი მოსავალი წყალმა წაიყო, ყაჭის ფასი წრეულს დავარდა, ეგზეკუცია ჩვენ ჩამოგვიყენეს, ადესა სულ მოისპო, არც წრევანდელი სიმინდის მოსავალია სანაქებო. ვიკალით, ვიკალით თავი, «გოროდის კლასი» გაგვიხსენითო. გახსნისათანავე მიგვიკეტეს. შიმშილი, წვალება ჩვენ განა თავის დღეში არ უნდა მოგვშორდეს??

ნეტა რისთვის გაჩნდა საწყალი კაცი ქვეყანაზედ?

სოფლელი გლეხი.

## ჟურნალ «მოგზაურის» პედაგოგიური ნაწილი.

შემდეგი *)

სახელმძღვანელო სასწავლო წიგნების წესიერად ხმარებას სკოლებში დავუმატოთ კიდევ სახალხო კითხვების გამართვა ბუნდოვანის სურათების ჩვენებით, ესრედ წოდებული სკოლის გარეშე განათლება, სკოლის წესიერად მოწყობილი ბიბლიოტეკები და სხვა; ყველა ეს ერთად სახალხო სკოლას ჰქმნის ნაყოფიერ დაწესებულებად ხალხისათვის და არა სახელმძღვანელო წიგნების უარის ყოფა და მათი განდევნა სკოლებიდან, თანახმად «ერთის სასწავლებლის უფროსისა», რომელსაც აღტაცებით იხსენიებს, მაგრამ არ ასახელებს კი, ბ-ნი როსტომაშვილი. ჟურნალ «მოგზაურის» დამატებაში დასტამბულია რამდენიმე წერილი შემდეგის სათაურით: «ახალი წესი წერა-კითხვის სწავლებისა ოჯახებში და სკოლებში.» ამ სათაურის წაკითხვისათანავე მკითხველი იფიქრებს, რომ «მოგზაურის» პედაგოგს ამერიკა აღმოუჩენია პედაგოგიაში და უნდა გაუზიაროს სახალხო სკოლის მასწავლებლებსაო, მაგრამ ყველა წერა-კითხვის წესების ძველისა და ახალის მცოდნე მასწავლებელი მაშინვე მიხვდება, რომ ის ახალი წესი წერა-კითხვის სწავლებისა, რომელსაც ქადაგებს «მოგზაურის» პედაგოგი, ეკუთვნის არა ამ უკანასკნელს, არამედ მეთვრამეტე საუკუნის ფრანგების ცნობილს პედაგოგს ჟაკოტოს, რომელიც პედაგოგობის გარდა, ბევრს სხვა სამსახურსაც ასრულებდა და რომლის პედაგოგიურმა პრინციპებმა დიდი სჯა და ბაასი გამოიწვია თავის დროზე და ბევრი მოწინააღმდეგენიც აღმოუჩნდა ცნობილ მეცნიერთა შორის. ამ უკანასკნელ წესს წერა-კითხვის სწავლებისას დაუბრუნდნენ ამ ბოლო ხანებში ამერიკელი პედაგოგები, რომელთა მიბაძვითაც «მოგზაურის» პედაგოგი სცდილობს ამ ვითომდა ახალის წესის გადმოქართულებას, მაგრამ «მოგზაურის» რედაქციას ისე სავსებით ვერ შეუგნია ნამდვილი თვისება ამ ვითომდა ახალი წესისა, რომ იგი განეხორციელებინათ ქართულ ენის ანბანის თვისებათა მიხედვით, ისე, როგორც ეს წესი ამერიკელმა პედაგოგებმა შეუფარდეს ინგლისურ ენას.

დღესაც მთელს ევროპაში ხმარებაშია ესრედ წოდებული სახმო მეთოდი წერა-კითხვის სწავლებისა, რომელიც სხვა და სხვა გვარია. ეს ახალი წესი წერა-კითხვის სწავლებისა, რომელიც ამერიკაში ვრცელდება ამ ჟამად. იგივე თავისებური ანალიტიკური წესია წერა-კითხვის სწავლებისა, შედგენილი ამერიკელების მიერ ინგლისურ ენის ფონეტიკურ თვისებათა მიხედვით. ამ წესს ამერიკელები უწოდებენ „სიტყვიერს ანუ წინადადებათა მეთოდს“; ამ წესით თავდაპირველად ისწავლება არა ხმები სიტყვებში ცალკ-ცალკე, როგორც საზოგადო სახმო მეთოდი ითხოვს, არამედ ცალკე სიტყვები—და წინადადებაც. წერა-კითხვას წინ უსწრობს საუბარი, თვალსაჩინო სწავლება საგნებისა, რასაც ითხოვს აგრეთვე საზოგადო სახმო მეთოდიც. საუბრის შემდეგ მასწავლებელი სწერს საკლასო დაფაზე საუბრიდან აღებულს რამდენსამე მოკლე წინადადებას, რომელშიაც ერთი რომელიმე სიტყვა რამდენჯერმე იმეორება. ამ უკანასკნელ ერთს სიტყვას აქცევენ მოწაფეები ყურადღებას მასწავლებლის დახმარებით და სწავლობენ მისს წაკითხვას. ამას ჰქვიან სიტყვის გამოცალკევება წინადადებიდან. ამნაირად ბავშვები სწავლობენ ზოგიერთი სიტყვების წაკითხვას, ვიდრე შეისწავლიდენ ცალკე ხმებს და ასოებს. ჩვენის აზრით, რამდენათაც ნაყოფიერი უნდა იყოს მოწაფეთათვის ეს მოხსენებული წესი წერაკითხვის სწავლებისა, მაინც ძნელი იქნება პატარა მოწაფებისათვის მიაპყრონ ყურადღება მხოლოდ ერთს რომელსამე სიტყვას, როდესაც წინადადებაში შეიძლება იყოს ორი და სამი სხვა სიტყვაც; ჯერ შეუსწავლი სიტყვის ასოებიც მიიქცევენ ბავშვების ყურადღებას, არ შეიძლება ეს ყურადღება არ განაწილდეს დაწერილს წინადადებაში სხვა სიტყვებზედაც; ამნაირად ამ წესით ბავშვის ყურადღების დანაწილება აუცილებელია, ამის გამო წასაკითხის სიტყვის შთაბეჭდილებაც სუსტდება, რადგანაც ამ წესით ბავშვს ეძლევა რამდენიმე სიძნელე ერთბაშად.

ამერიკელი პედაგოგები წინადადებაში ასწავლიან მხოლოდ ერთის რომელსამე სიტყვის კითხვას, «მოგზაურის» ქართველი პედაგოგი-კი არ ჯერდება ერთს სიტყვას, უფრო აჭარბებს და თხოულობს ორი-სამის სიტყვის შესწავლას, რაც, რასაკვირველია, უფრო ძნელი უნდა იყოს. ამასთან ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამერიკელი პედაგოგები დაფაზე დაწერილს წასაკითხავ სიტყვებს ადგენენ ხმების ნათესაობის მიხედვით, მაგალითად მოწაფეების აქტიური მონაწილეობის მიღებით—საკითხავ სიტყვებიდგან საკლასო დაფაზე იწერება, ვსთქვათ, შემდეგი სიტყვები: ავი, ნავი, შავი; ან ასი, თასი, ფასი და სხ. ეს საუკეთესო სავარჯიშო მხედველობისა და მსმენელობისათვის, როგორც მომზადებული საფეხური შემდეგის, უფრო ძნელის სავარჯიშოებისათვის სრულიად უყურადღებოდ დაუტოვებია ჩვენს წერა-კითხვის სწავლების ახალ წესის ავტორს. ამნაირი სავარჯიშოების შემდეგ ამერიკელი პედაგოგები გადადიან პირდაპირ ჩვეულებრივ ხმების გამოცალკევებაზე, ე. ი. უბრუნდებიან ისევ სახმო მეთოდს. საკითხავ წიგნს მოწაფეებს აძლევენ ხელში გვიან, ნახევარი წლის შემდეგ; მასწავლებლები დიდს დროს ანდომებენ წერით კითხვიდან ბეჭდურ კითხვაზე გადასვლას. აქ უეჭველად ასიც აქვთ აზრად, რომ ბეჭდური და ნაწერი ასოები დიდათ განსხვავდება ერთმანერთისაგან, ამიტომ ერთსა და იმავე დროს შესწავლა ბეჭდურისა და წვრილი ასოების კითხვისა ორნაირს სიძნელეს წამოადგენს. წინადადებათა და სიტყვების შედგენის დროს, რომლის კითხვაც თავიდანვე უნდა დაიწყონ, მოწაფეები ხმარობენ მხოლოდ იმისთანა სიტყვებს, რომელიც ყველას კარგად ესმის და გაეგება. ბეჭდურ საკითხავში—ყველაფერი, რაც ახსნას ითხოვს, აიხსნება არც წაკითხვის დროს და არც წაკითხვის შემდეგ—არამედ კითხვის დაწყებამდის წინასწარ საუბრებში, ასე რომ წიგნებში კითხვის დროს ყველა სიტყვა და გამოთქმა წინდაწინვე ახსნილი, განმარტებული და ცნობილი უნდა იყოს მოწაფეთათვის.

იმ წესით, რომელიც ამერიკაში შემოიღეს ამ უკანასკნელ დროს, ძრიელ გვიანდება ანბანის შესწავლა. ეს შენიშნეს თვით ამერიკელმა პედაგოგებმაც, მაგრამ მაინც გვარწმუნებენ, რომ ამ წესით სწავლებისათვის მოხმარებული დრო დაკარგულად არ ჩაითვლება, პირიქით შემდეგში სარგებლით უბრუნდება მოწაფეს, რომელიც თავიდანვე იძენს ცოცხალ გამომეტყველებითი ლაპარაკის ხასიათს, კითხვა სიტყვებისა და წინადადებათა შემწეონით სავსებით შეგნებულია, სიტყვებსა და წარმოდგენილებათა შორის მტკიცე კავშირია დაცული კითხვის დაწყებამდისვე; ამის მიხედვით ყოველი წასაკითხი სიტყვა, რომელიც ჰხატავს ცნობილს ცნებას, ჩქარა გამოიხატება ბავშვის გონებაში იმის მსგავსად, როგორც რომელიმე ნაცნობი სურათი მოგვაგონებს ცნობილს სახეს.

აქ ჩვენ უნებლიედ გვაგონებდა ერთი შემთხვევა: ამ რამდენისამე წლის წინად, როცა ჩვენმა პედაგოგმა ბ-ნმა ი. გოგებაშვილმა პირველად შემოიღო ანბანში პირველ გაკვეთილშივე წინადადების წაკითხვა და ამით პირველ გაკვეთილიდანვე აზრიანად გახადა წერა-კითხვის სწავლება, ჩვენმა პედაგოგებმა, რომლებიც დღეს თავიანთ თავს ფხიზელს უწოდებენ, და სხვებს მძინარას, ეს წესი ანტიპედაგოგიურად ჩათვალეს და „დედა-ენის“ პატივცემულს ავტორს პედაგოგიურს უვიცობას უკიჟინებდნენ.

დ. ბოცვაძე.

(შემდეგი იქნება)

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

«რ. ვედ.»-მა თანაგრძნობით სავსე სიტყვები უძღვნა შინაგან საქმეთა მინისტრის ნალაპარაკევს იმის შესახებ, რომ მეტი ნდობა ვიქონიოთ ერთმანერთისაო. მინისტრმა სთქვა: «ადმინისტრაციაში მოპოვებულმა გამოცდილებამ ღრმად დამარწმუნა, რომ ნაყოფიერება მთავრობის შრომისა შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა გულ-წრფელის კეთილ-სურვილობით და გულ-წრფელის ნდობით ეკიდება მთავრობა საზოგადოებრივსა და წოდებრივს დაწესებულებას და საზოგადოდ ხალხს». გაზეთი სიამოვნებით ეგებება ამისთანა შვენიერს აზრებს და თავის მხრივ ამბობს:

თუ შესაძლებელია რუსეთისათვის გამოვიდეს ქვეყნის საქმეთა უკეთ მოწყობის ფართო გზაზედ, რომელიც მიმართული იქნება მხოლოდ ერის საკეთილდღეოდ, ამისათვის აუცილებლად საჭიროა თავისუფლად გამოთქმა აზრისა და, მაშასადამე, გადასხვევა მწერლობის შესახებ ის კანონ-მდებლობისა. ადგილობრივ თვითმმართველობის შესახებ ეს პოლიტიკა კეთილ სურვილობისა თხოულობს საჭიროდ პატივისცემას საზოგადოებრივის თვითმოქმედების მიმართ და საზოგადოების განთავისუფლებას საადმინისტრაციო „ოპეკისაგან“. საუკეთესო ძალა საზოგადოებისა უნდა მოწოდებულ იქმნას მთავრობის დასახმარებლად და მონაწილეობის მისაღებად ამისთანა მძიმე საქმეში, როგორიც არის ქვეყნის მართვა-გამგეობისა და ადგილების საქმე. ამისათვის-კი აუცილებლად საჭიროა გადაშინჯვა ადგილობრივ თვითმართველობის შესახებ-ის კანონმდებლობისა. სახელმწიფოს საქმეთა უკეთ წარმართვისა და გაძღოლისათვის აუცილებლად საურთიერთო ნდობაა საჭირო, როგორც სამართლიანად ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრი. ხოლო ასეთი ნდობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ საზოგადოებას შეძლება მიეცემა თავისუფლად ილაპარაკოს და იმსჯელობოს თავის საჭიროებათა შესახებ არა მარტო მწერლობაში, არამედ თავისთა წარმომადგენელთა პირითაც, თუ საერთო თვით-მმართველობა გაფართოვებულ იქნება იმ მხრივ, რომ საზოგადოებას შეეძლოს უფრო მხნედ დაეხმაროს მთავრობას მართვა-გამგეობის რთულსა და მძიმე საქმეში.

«ს.-პეტ. ვედ.»-საც დიდი იმედი აქვს, გულ-წრფელ კეთილ-სურვილ მოქცევითა და მოქმედებით, ნდობის აღმოჩენით საზოგადოებისადმი, აურაცხელი რამ სასიკეთო საქმე გაკეთდებაო. გაზეთი ჩამოსვლის ყოველ ამ სასიკეთო საქმეს, თუ ერობაში, თუ ხალხის გამოკვლევაში, თუ ქალაქის თვით-მმართველობაში, საიდანაც ყოველი ნიჭიერი კაცი განდევნილია ახლა და ვაჭარს კი დიდი უპირატესობა აქვს მიცემული და ბოლოს მწერლობაზედ ამბობს:

მწერლობაში უფრო სამძიმო შედეგი მოაქვს მუდმივს უნდობლობას; პროვინციის გაზეთები, მოკლებულნი ნდობას, სულს ძლივს ითქვამენ. ბევრგან ვერ დაარსდა ახალი გაზეთი ამ უნდობლობის გამო. უდგელივე ცდა მკვიდრთა, ერთი ნაბიჯი მაინც გადადგა წინ: დაარსება ბიბლიოთეკებისა, კითხვა ლექციებისა ხალხისთვის, დაარსება ამხანაგობათა, მომხმარებელ საზოგადოებათა, სალიტერატურო კლუბებისა გასართობად, განსავითარებლად და საურთიერთო დასახმარებლად, — ან დიდხანს რჩებოდა განუხორციელებელი, ან სულ ვერ ხერხდებოდა განხორციელება ამისთანა სურვილისა და განზრახვის. ცხადია, ამის გამო ცხოვრება შებორკილივით იყო. ცხოვრება წინ ისწრაფის მუდამ და, რაკი ეს მისწრაფება გზას ვერა პოულობდა, უმგზავსობის სახით იჩენდა თავს. ხულიგანობა, ლოთობა, რომელიც ნახევარ მილიარდად უჯდება ქვეყანას უოველ-წლივ, განადგურება მთელის მაზრებისა, ბანქო, თავზე ხელის აღება,—აი ცხადი შედეგი ნდობა მოკლებულის ცხოვრებისა. თან და თან-კი უფრო იზრდება და მრავლდება ყველაზედ ცოცხალი, გულ-მტკივნეული, ნიჭიერი ხალხი—უნდობლობის სისტემის დროს მეტი ბარგო—ინტელიგენცია. ძალაც ბევრია, სურვილიც დიდი, ოცნებაიც სპეტაკი, მაგრამ არა აქვს გზა ენერგიას და უმოქმედობა ჰპადავს სულის შემხუთველ გაბოროტებას, სიანჩხლეს. აი ამიტომ რუსეთის შინაგან ცხოვრების ახალ ხელ-მძღვანელის ნალაპარაკევი, საჭიროა გულ-წრფელი ნდობა ერობისა, საზოგადოებისა და ხალხისადმი, დიდს იმედებს ჰბადავს მკვიდრთა შორის. ნდობით მოკიდება ხალხისა პირველი ნაბიჯია ცხოვრების ჰაერის გასამრთელებლად, გასაწმენდად.

# სასამართლო

20 სეკდემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო გასარჩევად თავ. დავ. კონსტ. მიქელაძის საქმე, გარემოება ამ საქმისა შემდეგია: ამ წლის 7 თებერვალს, საღამოს 7 საათზედ, პოლიციის ბოქაულს მახარაძეს აცნობეს, რომ ქალაქის ბაღში ჩხუბობენ თავადნი ჩხეიძე და ა. ლორთქიფანიძეო. ამ ადგილას მივიდა პოლიციის ბოქაული მახარაძე და შეუდგა საქმის გამოკითხვას. ამ დროს მახარაძეს მიუახლოვდა თავ. დ. კ. მიქელაძე და დაუძახა «გზა მომეციო». მახარაძემ უკან დაიწია და უთხრა: «აჰა გზა და გაიარეო». ამის პასუხად მიქელაძემ სილა გააწნა ბოქაულს მახარაძეს. გამოძიების დროს ბოქაულს განუცხადებია, მიქელაძე ჩემთან უსიამოვნოდ იყო, რადგანაც ჩემის სიტყვიერად შეურაცხყოფისათვის ოლქის სასამართლომ ერთხელ 100 მანეთით დააჯარიმაო. მიქელაძეს კი განუცხადებია, — ბოქაულს ვთხოვე გზა მოეცა ჩემთვის, მაგან კი ხელი მკრა და ამით შეურაცხმყო; ამიტომ მეც გული მომივიდა და სილა გავაწანიო. ამ დღეს დამნაშავე არ გამოცხადდა სასამართლოში და წარმოადგინა ავადმყოფობის მოწმობა, რის გამოც საქმე შემდეგისათვის გადაიდო.

გურულ-მეგრელი.

# წერილი
## რედაქციის მიმართ

ამას წინად თქვენს «ივერიაში დაიბეჭდა წერილები ექიმის ბ-ნ ვასილ წერეთლისა „ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლა“. ახლა ჩვენ განვიზრახეთ ეს წერილები გამოვსცეთ პატარა იაფ-ფასიან წიგნაკებად ხალხში გასავრცელებლად და ამისათვის ვსთხოვ ბ-ნ ვ. წერეთელს, რაკი ჩვენ პირადად მისი ვინაობა არ ვიცით, გაგვაგებინოს თქვენის გაზეთის საშუალებით, მოგვცემს ნებას თავის წერილების გამოცემისას საკუთარ წიგნაკად თუ არა.

ილია ფოფხაძე.

## „ივერიის“ ფოსტა

**ბრ. იმერელს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება

**ქუთაისი. გურულ-მეგრელს.** აროშიძის შესახებ თქვენის წერილის დაუბეჭდაობის მიზეზი გამოგიცვნიათ,—უკანასკნელია. ასეთ საყურადღებო ცნობების მოწოდებისათვის გმადლობთ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

26 სეკდემბერი

**პეტერბურგი.** „პრავიტ. ვესტნიკ.“-ის კორესპონდენტის ოფიციალური დეპეშა, 25 სეკდემბერს მუკდენიდან გამოგზავნილი: «ომის ახალ ხანის დაწყების წინ, 19 სეკდემბერს, გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა შემდეგის ბრძანებით მიჰმართა მანჯურიის ლაშქარს: „ამ შვიდის თვის წინად, ომიანობის გამოცხადებამდის, მტერი ვერაგულად თავს დაგვესხა პორტ-არტურში. მას აქეთ დიდი გმირობა გამოიჩინა რუსეთის ჯარმა ზღვასა და ხმელეთზე და ამით სამართლიანად უნდა თავი მოსწონდეს ჩვენს სამშობლოს. მტერი-კი, არა თუ არ იქმნა დამარცხებული, ხლაც ჰფიქრობს, რომ სავსებით გაიმარჯვებს ჩვენს ლაშქარზე. მანჯურიის ლაშქარი ძლიერია სულით, მაგრამ ჯერჯერობით იმდენად მრავალ-რიცხოვანი არ იყო, რომ იაპონელებზე გამარჯვება მოეპოვებინა. ხანგრძლივი დრო იყო საჭირო ყველა დაბრკოლებათა დასაძლევად და ლაშქრის გასაძლიერებლად, რათა შეძლება მისცემოდა ნაყოფიერად აესრულებინა მისთვის მინდობილი ძნელი და თან სასიქადულო საქმე. ამიტომაც, თუმცა მრავალჯერ უკუვაქციეთ დაშიცაოსა, ლიანდიანსიანისა და ლიაოიანის პოზიციებზე იერიშით მოსული იაპონელები, მე მაინც არ ვისარგებლე მტრის დამარცხებით სატევ ომის დაწყებისათვის, რადგან ამისათვის მარჯვე დრო არ დაგვიდგა, და ჩემის ბრძანებით თქვენ სულ უკან იწევდით. დასტოვეთ თქვენ მიერ გმირულად დაცული, იაპონელთა გვამებით მოფენილი პოზიციები. დასტოვეთ მტრისაგან შეუწუხებლად, წარმოადგენდით ახალ ბრძოლისათვის მომზადებულ მრისხანე ჯარს და დაიწიეთ წინ-და-წინვე გამაგრებულ ახალ პოზიციებზე. ლიაოიანთან ხუთის დღის ბრძოლის შემდეგ დიდი ზარალი მიაყენეთ იაპონელებს, მამაცად შეინარჩუნეთ ყველა მოწინავე და უმთავრესი პოზიცია, და შემდეგ მრავალ დაბრკოლებას სძლიეთ და მუკდენისკენ დაიწიეთ. კუროკიმ გვერდიდამ მოგვიარათ, ჩვენს ფრთაზე იერიში მოიტანა, და თქვენ მაინც მიდიოდით ატალახიანებულ გზით, დღე-და-ღამ ებრძოდით მტერს, ხელით მიგქონდათ ზარბაზნები და პოვოზკები, მუკდენისკენ დაიწიეთ, და არ დაუტოვეთ მტერს არც ერთი ზარბაზანი, არ დაუტოვეთ ტყვეები, თან წაიყვანეთ ყველა დაჭრილი და მთელი ქარვანი. გულჯავრიანი გიბრძანებდით უკან დაწევას, მაგრამ მტკიცედ მრწამდა, რომ უკან დახევა ჩვენსკენ მომავალ მაშველ ჯარებისაკენ საჭირო იყო მტრის დასამარცხებლად, როცა საბოლოო გამარჯვების დრო დაგვიდგებოდა. ხელმწიფე იმპერატორმა საჭირო ჯარი დანიშნა იაპონიასთან საბრძოლველად, და ეს ჯარი უზრუნველ ჰყოფს ჩვენს გამარჯვებას. თუმცა მეტად გასაჭირია ამ ჯარის გზავნა ათი ათასი ვერსის მანძილზე, მაგრამ რუსის მკვიდრნი, ყველა უწყებათა მოხელენი, რომელთაც მინდობილი აქვთ ეს საქმე, თავგანწირულად სძლევენ ყველა დაბრკოლებათ, ენერგიულად და ნიჭიერად იმოქმედებენ მეტად ძნელ ომის დროს, რომელიც ამ მხრივ სამაგალითო მოვლენას წარმოადგენს ყველა ომების ისტორიაში. რამდენიმე ასი ათასი კაცი, მრავალი ცხენი და ქარავანი, მილიონი ფული და საქონელი განუწყვეტლივ მოაქვს რკინის გზას 7 თვის განმავლობაში ევროპის რუსეთიდან და ციმბირიდან მანჯურიაში და ეს დენა ნიადაგ იზრდება და ვრცელდება. თუ გამოგზავნილი ჯარი საკმაო არ იქმნა, ახალი მოვა, და აღსრულდეს ხელმწიფე იმპერატორის მტკიცე გადაწყვეტილება — მტრის დამარცხება. აქამდის მტერი ჩვენზე მეტის ჯარით სარგებლობდა, გარს შემოგვეხვია, თავის ნებაზე მოქმედებდა და მარჯვე დროს ირჩევდა ჩვენდა თავდასასხმელად, მაგრამ ეხლა ჩვენც დაგვიდგა სასურველი დრო, რომელსაც დიდი-ხანი ელოდა მთელი ჩვენი ჯარი, და ჩვენც უნდა წავიდეთ წინ მტრის დასახვედრად; დაგვიდგა დრო, როცა იაპონელებს ჩვენ ნებას დავუმორჩილებთ; მანჯურიის ლაშქარი ამ ჟამად საკმაოა სატევ ომის დაწყებისათვის. მაგრამ მუდამ უნდა გახსოვდეთ, რომ ძლიერისა და მამაც მტრის დასამარცხებლად, დიდის ჯარის გარდა, საჭიროა მთელის ლაშქრის მტკიცე გადაწყვეტილება, რათა სძლიოს მტერს და საჭირო მსვერპლი შესწიროს ამ გამარჯვებას. ყველამ უნდა შეიგნოთ, თუ რა დიდმნიშვნელოვანი საქმეა რუსეთისათვის მტერზე გამარჯვება და განსაკუთრებით გახსოვდეთ, რამდენად საჭიროა ჩვენთვის გამარჯვება, რათა დავიხსნათ პორტ-არტურში მყოფი ჩვენი ძმები, რომელნიც შვიდის თვის განმავლობაში გმირულად იცავენ მათდა მინდობილ ციხეს. ჩვენმა ლაშქარმა, ხელმწიფისა და მთელ რუსეთთან მჭიდრო კავშირით განმტკიცებულმა, ყველა ომებში გმირულად იღვაწა ტახტისა და სამშობლოს დასაცველად და საპატიო სახელი მოიპოვა ყველა ერთა შორის. მუდამ ჟამს გახსოვდეთ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა მოგანდოთ რუსეთის ღირსებისა და შორეულ-აღმოსავლეთში რუსეთის უფლებათა დაცვა; მუდამ ჟამს გახსოვდეთ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა მოგანდოთ თქვენ დაცვა მთელის რუსეთის ლაშქარის სახელისა და დიდებისა. რუსეთის სახელმწიფოს თვითმპყრობელი და წინამძღოლი მთელ რუსეთთან ერთად ლოცულობს ჩვენთვის და გვაკურთხებს ახალ გმირულ მოღვაწეობისათვის. ამ ლოცვით განმტკიცებულნი, ჩვენდამი მინდობილ საქმის ღრმა მნიშვნელობით აღფრთოვანებულნი, გაბედულად უნდა წავიდეთ წინ ჩვენის მოვალეობის ბოლომდის ასასრულებლად, სიცოცხლის დაუზოგველად და ნება უფლისა იყავნ ჩვენზედა».

**რომი.** (ვოლფ. სააგ.). 1 ოკდომბერს გამოაქვეყნებენ დეკრეტს დეპუტატთა პალატის დათხოვნისა და 17 ოკდომბრისათვის ახალ არჩევნების დანიშვნის შესახებ. ახალი პალატა 2 ნოემბერს დაიწყებს მუშაობას.

**ხაკოდატე,** 24 სეკდემბერი (რეიტერი). ინგლისის სამხედრო გემმა «ალჯერინმა» მოიყვანა აქ კამჩატკის ნაპირებთან 22 სეკდემბერს დაზიანებულ ამერიკის გემის „მენეოლა“-ს მეზღვაურნი. «მენეოლა»-ს მიჰქონდა 2 მილიონ მარკად ღირებული ბეწვეულობა, რომელიც რუსეთის საზოგადოებას ეკუთვნის.

**ჰავრი,** 25 სეკდემბერი (რეიტერი). «ლოიდი» იუწყება, ინგლისელთა გემი «ინდრანი» «სმოლენსკა»-ს დაეჯახა და დაზიანდაო.

**კიევი,** 25 სეკდემბერი. სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზათა ელისავეტგრადის შტოზე სადგურ ნოვოუკრაინკიდან წამოსული საქონლის მატარებელი დაეჯახა სამხედრო მატარებელს, რომელიც სადგურ ტაშლიკის მწვანე დისკასთან იდგა. სამხედრო მატარებელი, რომელსაც მინსკის ქვეითა ჯარის ერთი რაზმი მოჰყავდა, იმიტომ გააჩერეს იქ, რომ ორთქლმავალი წაუხდა. სამხედრო მატარებელს დაუზიანდა ვაგონი სამზარეულოთი, პლატფორმა ქარავნით, 5 ვაგონი ჯარის კაცებითა და 2—ცხენებით სავსე. მძიმედ დაიჭრა ერთი ჯარის კაცი და მსუბუქად—ხუთი. ორი აფიცერი დაშავდა. საქონლის მატარებელში დაიმტვრა 5 ვაგონი. დაშავდა უფროსი კონდუქტორი. დაჭრილნი ჯარის-კაცნი ელისავეტგრადში გაგზავნეს,—სხვების დაუხმარებლად წავიდნენ საავადმყოფოში. ელისავეტგრადიდან გაგზავნეს სადგურ ტაშლიკზე მატარებელი ექიმებითა და სანიტარებით. მოვიდა კიევიდან კომისია საქმის გამოსაძიებლად. ჰფიქრობენ, რომ მატარებელთა შეჯახება საქონლის მატარებლის მემანქანის მიზეზით მოხდაო. სამხედრო მატარებელში მოკლულ იქმნა 2 ცხენი და დაჭრილია 4.

**პეტერბურგი.** 25 სეკდემბერს, ნაშუადღევის 3 ს. 30 წ., ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე დედოფალი ავგუსტოსის შვილებით ცარსკოე სელოში გადასახლდნენ საცხოვრებლად. 25 სეკდემბერს სადგურ ალექსანდროვსკაიადან დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ბერლინს წავიდა სამკურნალოდ. 25 სეკდემბერს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული, ავგუსტოესი მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე რეველს წავიდნენ.

**ომსკი.** პატარა სადგურ გორკიზე 22 სეკდემბერს საქონლის მატარებელი დაეჯახა მეორე საქონლის მატარებელს. ლოკომოტივები დაზიანდა, 17 ვაგონი დაიმტვრა, 10 უბილეთო მგზავრი დაიჭრა; ამათგან 2 გარდაიცვალა. მეისრეს სძინებოდა.

**გიანწცზე,** 24 სეკდემბერი (რეიტერი). თიბეთში გაგზავნილი ინგლისის ექსპედიცია პატარ-პატარა რაზმებად განაწილდება. მაკდონალდი ჯარს გამოემშვიდობა.

**ჰააგა,** 25 სეკდემბერი (რეიტერი). სამედიატორო სასამართლო 8 სეკდემბერს სხდომას მოახდენს და გაარჩევს იმ დავას, რომელიც საფრანგეთსა, გერმანიასა და ინგლისს იაპონიასთან მოუხდათ სახლების გადასახადის თაობაზე.

**რეველი,** 26 სეკდემბერი. დილის 9 საათზე მოვიდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს-ძე.

**სტამბოლი.** ხილმი-ფაშა უსკიუბში მივიდა. კონსულის აგენტები და ქრისტიანეთა დეპუტაციები დაუხვდნენ. ხილმი-ფაშამ აღუთქვა: ვინც კი ამას წინად უწესობა მოახდინა, ყველას სამართალში მივცემ, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლადაო.

**ბელგრადი,** 26 სეკდემბერი. დილით ჟიჩის მონასტერში სერბიის მეფე პეტრეს მირონი სცხეს.

**მოსკოვი.** თავადი შირინსკი-შიხმატოვი აღმოსავლეთ რაზმში იყო, როგორც წარმომადგენელი წითელის ჯვრისა; ის ყოფილა მოწმე ბრძოლისა ტიურენჩენიდან დაწყებული ლიაოიანამდე და ამბობს, ციმბირის ჯარებმა თვისის ვაჟკაცობით და სიმტკიცით გააკვირვეს უცხოეთის სამხედრო კორესპონდენტებიო. მაგალითად, მე-24 ციმბირის პოლკმა, პოლკოვნიკ ლეჩინსკის უფროსობით, დაჰკარგა $^4/_5$ პოლკისა; პირველ როტაში დარჩა ბრძოლაში ერთი ფელდფებელი; დაჭრილთა გადასაზიდად 200—300 ჩინელი დაიქირავეს და სამსა და ოთხ შაურს აძლევდნენ ოც ვერსში; ურმები მხოლოდ სწორე გზაზე თუ ვარგა.

**მუკდენი.** (საკ. კორესპ.). შემდეგ რამდენისამე ფუჭად ჩავლილ იერიშისა პორტ-არტურზე, იაპონელნი გროვდებიან ანშანჯანის ჩრდილოეთად. ისინი საჭიროებენ საკვებსა და ტანისამოსსა და ამიტომ იაპონიის ჯარის-კაცნი სძარცვავენ განსაკუთრებით ჩინელ ქრისტეანებს და მუსულმანებსა. ხალხის გული რუსებისაკენ ეკვრის და რაც კი საჭიროა, მიაქვთ. ჯართ მტკიცეთ არის, სანიტარელი მდგომარეობა კარგს ყოფაშია. ლაშქარს ინტენდანტმა გუბერმა მოუტანა 500 ათასზე მეტი ხალათები, სათბუნებლები და საბნები. ამისი შეძენა იაპონელებმა ვერ მოახერხეს.—ინკოუში ვაჭრობა შეფერხდა. ემდურებიან მოხელეებს და მთავრობის, რომ იმათ იაპონელთა მხარე უჭირავთ.

**რეველი.** ნაშუადღევის სამ საათზე მისი უდიდებულესობა მობრძანდა რეიდზე, თან ეახლნენ დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, ვიცე-ადმირალი აველანი და ბირილევი. ხელმწიფემ გასინჯა ჯავნოსანი «ოსლიაბია», მერე ნახა ჯავნოსნები «არიოლი», „ბოროდინო“ «ალექსანდრე III» და „თავადი სუვოროვი“. წაბრძანებისას თითო გემიდან 31 ზარბაზანი დასცალეს. მეზღვაურთ გააცილეს ხელმწიფე იმპერატორი «ურას» გრიალითა.

27 სეკდემბერი.

**მოსკოვი.** 26 სეკდემბერს მოვიდა მოსკოვს უფროსი კრეისერ «როსიისა» კაპიტანი ანდრეევი. იმან სთქვა, 1 სეკდემბერს დილა ადრიან გავიდა ზღვაში ვლადივოსტოკის ესკადრა პორტ-არტურის ესკადრასთან შესაერთებლად. კუნძულ ცუსიმასთან შენიშნეს ოთხი გემი, გაეხარდათ, პორტ-არტურის გემები ეგონათ. აღმოჩნდა, რომ ოთხი გემი მიდიოდა კამიმურასი ჩვენის გემების პირდაპირ. მეტი ღონე არ იყო, ბრძოლა უნდა გაგვეწია, საშინელი სროლა გაჩნდა, პირველადვე მტრის ყუმბარა მოხვდა „რიურიკის“ საჭესა და გემმა სიარულს უკლო. «როსიამ» და «გრომობოიმ» შეიფარეს «რიურიკი», თვით შეებრძოლნენ და ამიტომ ძალიან დაზიანდენ. გაჩნდა ცეცხლი. ეს საშინელი წამი იყო. მეზღვაურნი, რომელნიც მუდამ ყოჩაღად მოქმედებდნენ, შეკრთნენ, მაგრამ დიდი ხნობით კი არა. მტრის გემიდან კი მხიარულების ჟრიამული მოისმოდა. საბედნიეროდ, ცეცხლი მალე ჩავაქრეთ, მაგრამ რვა კაცი მაინც დაიწვა. ცეცხლის ჩაქრობაზე გასაოცრად მუშაობდენ პრაპორშჩიკი გრუზდენი და ლეიტენანტი მოლასი. ამასობაში «რიურიკი» ჩამოგვრჩა. «რიურიკის» წინააღმდეგ კამიმურამ უმავთულო დეპეშით ორი სხვა გემი დაიბარა, თითონ კი «როსიასა» და «გრომობოის» მისდგა, ბრძოლამ გასტანა კიდევ 3 საათამდე, ამის შემდეგ კი მტრის ესკადრამ, რაკი ძალიან დაზიანდა, შეუხვია კორეის ყურეში. «როსიაზე» მეტი ნაწილი ზარბაზნებისა დაზიანდა. მეზღვაურნი ძალიან მუშაობდნენ. ანდრეევმა თვით ნახა, რომ ერთი მატროსი, რომელსაც ყუმბარამ ფეხი მოჰგლიჯა, არც კი დაუკვნესია, ისე მიხოხავდა ქვემოდ, სადაც ექიმები მიეშველნენ. 1,800 კაციდან დაზარალდა 500.

**ტოკიო,** 25 სეკდემ. (რეიტერი) გამოცხადებულია მოხსენებანი იაპონელთა საომარ მოქმედებისა პორტ-არტურთან ნანშანის ბრძოლიდან დაწყებული პორტ-

არტურის დღევანდელ გარშემოდგომამდე' ეგ გარშემოდგომა 17 ივლისს დაიწყო. მოხსენებაში აღნიშნულია ის მედგარი წინააღმდეგობა, რომელიც გაუწევიათ რუსებს იაპონელთ ზედ მიტევებისათვის ივლისში. რუსებს პირ-იქით, თვითონაც შეუტევიათ მტრისათვის და ნდომებიათ დალნის ხელ ახლად უკან დაბრუნება. აღმოსავლეთ სანაპიროსკენ რუსებს აუგიათ სიმაგრენი სერებზედ და გზის გაყოლებად. ამ სიმაგრეთა წყალობით მოუხერხებიათ ისე, რომ ორის თვით შეგვიანებული ნამდვილი გარშემოდგომა ციხისა. იაპონელთა არა სწრაფს ზედ-მისევას მრავლად მოჰყოლია დიდი სისხლის ღვრა და ხშირი მედგარი ბრძოლა. ივნისში რუსებს აუგიათ დასაცველი სიმაგრენი აღმოსავლეთად. 31 მაისს დაუწყიათ საზოგადო ზედ-მისევა და უდიერი ბრძოლაც მომხდარა მაშინ. 20 ივნისს რუსნი ერთობილის ძალღონით დასცემიან იაპონლთა სანგრებსა. ბრძოლამ გასტანა დაღამებამდე. 22 ივნისს ღამე რამდენჯერმე დასცემიან ერთმანერთს და ხელ-ჩართული ბრძოლა დაუწყიათ ხიშტებით. რუსთა კონტრნაღმოსნები და საგზირო ნავები გასულან ზღვაში და დაუშენიათ იქიდან ტყვია-ყუმბარა იაპონელთა სიმაგრეთათვის. რუსებს უკან დაუხევიათ. იაპონელთა დაუდგავთ 12 ზარბაზანი და რამდენიმე საზღვაო დიდი ზარბაზანიც. დიდი ბრძოლა 13 ივლისამდე არა ყოფილა. მაშინ კი იაპონელებს მეორედ დაუწყიათ ერთობლივი იერიში. იაპონელთა სამსავე რაზმს მიუღია მონაწილეობა 14 ივლისის გააფთრებულს ომში. 15 ივლისს იაპონელებს კვლავ დაუწყიათ ომი, მაგრამ მწკრივ ზედ-მიმსევთა გაურღვევიათ და ამიტომ უკან დაუწევიათ. ამ ომში თითქმის მთლად პორტ-არტურის მეციხოვნეთა ჯარს მიუღია მონაწილეობა და უმუშავებია 60 ზარბაზანი. რუსებს დაჰხოციათ ათასი კაცი და უკან დაუწევიათ სანგრებში გამაგრებლად. 16 ივლისს კიდევ მომზადებულან იაპონელნი და 17 ივლისს დილა ადრიან იერიში მიუტანიათ. ამ ბრძოლაში ჯერ ზარბაზნები დაუქუხებიათ. იაპონელნი მიახლოვებიან არტურს და დაუჰერიათ დაღუშანის მაღლობნი. მაშინადვე დაუწყიათ მუშაობა ალყის შემოსარტყმელად. იაპონელთა ზარალი გამოცხადებული არ არის. ჰგონებენ, რომ ეგ ზარალი არც ისე დიდია, როგორც ამბავი მოდიოდა წინადაო.

**მუკდენი**, 27 სეკდემბერი. (რეიტერი). რუსის ცხენოსანთა ჯარის გასვლა თაიძიხეში ბენსიხეს აღმოსავლეთად იმის მომასწავებელია, რომ იაპონელნი ჰფიქრობენ უმთავრესი ბინა დასდონ ლიაოიანის სიმაგრეთა შორის და იანთაიდან აღმოსავლეთად გაყოლებულ მაღლობებზე, თითქო სწადიანთ, რომ დიდი ომი ლიაოიანში მოჰხდეს. ჰგონებენ, რომ იაპონელთა მარჯვენა ფრთას იცავს რაზმი, რომელიც უფრო შორს არის წასული ყაზახთა მიერ დაჰერილ ადგილებზეო. რუსნი იძულებულნი არიან აკეთონ გზები იმ ადგილებში, რომელიც რუკებზედ არ არის აღნიშნული. კარგი ამინდი ხელს უწყობს რუსებს ამ მუშაობაში.

**კარდიფი**, 26 სეკდემბერი. (რეიტერი) რუსეთი და იაპონია ჯერ კიდევ ყიდულობენ ვალისის ქვა-ნახშირს თავიანთ სამხედრო გემებისათვის. ამ ჟამად თთვეში 14 ათასი ტონი გააქვთ კარდიფიდან, რაც ომისათვის მზადება დაუწყიათ, მას უკან გაუტანიათ 2 მილიონ ფუთამდე ნახშირი.

**ტოკიო**, 26 სეკდემბერი. (რეიტერი) როგორც პორტ-არტურიდან ამბავი მოვიდა, იაპონელებს დაუჰერიათ მაღლობნი და ამას იქით უფრო მარჯვედ დაუწყებენ ყუმბარების დაშენას ნავთ-სადგურში მყოფ რუსთა გემებს, ვიდრე აქამდი უშენდნენო. იაპონიის საგზირო ნავები ახლა მორტირებითაც არიან შეიარაღებულნი.

**შანხაი**, 25 სეკდ. (რეიტერი) ბევრი ნავი, რომელიც დატვირთული ყოფილა ტყვია-წამლით, შეუპყრიათ იაპონელეს იმ დროს, როცა სდომებიათ ალყის გარღვევა და პორტ-არტურს მისვლა. მაინც ერთს გემს, რომელზედაც 7,000 ტონი. სურსათი და ტყვია-წამალი ყოფილა, მოუხერხებია გარშემო ჩარიგებუ გემებ შორის გავლა და შეუმჩნევლად მისვლა პორტ-არტურში. ცინდაოს ნავთ-სადგური ისეთი ადგილია. სადაც თავს იყრიან ის გემები, რომლებიც სცდილობენ ალყის გარღვევას.

დროებით რედაქტორი **ზრ. ჟიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

### პეტერბურგის ბირჟა

24 სეკდემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,90 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,45 |
| ბერლინში ,, . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში ,, . . . . . . | $37{,}52^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | $6—7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | $91^1/_2$ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4 ,, გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 89 წვ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 392 წ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | $307^3/_4$ წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | $260^1/_4$ წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | $87^1/_2$ წ. გაყ. |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . | — |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | $89^1/_8$ წ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . | 87 წ. გაყ. |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა ამ წლის 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

**ბათუმს**: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.) 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

**ბორჯომს**: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს 50 წ.); საქონ. სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

# განცხადებანი

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან**

თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ 25 მაისს 1895 წელს სახელმწიფო საბჭოს აზრისა მ-ლით იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დაფუძნებელად მყოფთ თავიანთი შეტანილი ფული ამ ბანკის დასაარსებლად, და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე-7 მუხლის ძალით, ამით ცხადდება საყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიც გადავიდა შესაბამის წარწერით თ-დებ მიხეილ და სოლომონ ნაშრევანის-მე ჯორჯაძეების მიერ ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილის ფულის კვიტანცია ათას ხუთას ხუთმეტი მ. (1515), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდვისა. თუ ასე არ მოიქცა, სამუდამოდ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდება, ზემოხსენებულ თ-დ ჯორჯაძეებს

2—6—2.

**ქართველ ქალთა ამხანაგობის საკერვალოში** დაიწყო მუშაობა. მიიღებენ შესაკერად

## კაბებს

ძლიერ იაფად, ოთხიდან ექვს მანეთამდე ფასონს.

იქვე, სახელოსნოს მეორე განყოფილებაში, მიიღებენ შესაკერად ყოველ გვარ **თეთრეულს, მეტკებს** და მოსაქარგად აბრეშუმს—ფერადის ძაფებით, მუთაქა ბალიშს და სხვ.

**ჭრა-კერვის** კურსებზე მიიღებენ მოზრდილ ქალებს.

(4—344—2).

ქუთაისში

ს. ზ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მხთას უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, ღედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთ განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



ვერცხლის



ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




## ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

### ა. ა. თუთაევისა

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ხაირს ფერს ზეთით გადასილს საღებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ნაცმობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ადგილას. მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დაუთმობ პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებისაც გაიგზავნება 50%-ის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადგილი თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღლის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—20)

ქალაქი იურევი, ლიფლიანდიის გუბერნიაში.

## კერძო სავაჟო სასწავლებელი I რიგ. გუგო ტრეფნერისა

მოსამზადებელის კლასითა და **პანსიონით**.

ამზადებენ შეგირდებს სხვა სასწავლებლებში შესასვლელად, უმაღლეს სასწავლებლებში ეგზამენების დასაჭერად და სამხედრო სამსახურისათვის. შეგირდები მიიღებიან ყოველ დროს, სწავლების ლის პირველსაცა და მეორე ნახევარსაც. წლოვანება არ აბრკოლებს შეგირდის მიღებას. ფასი სწავლისა და შენახვისათვის 110 მ. ნახევარს წელიწადში. ძმებისათვის ფასი ნაკლებია. დაიწყება სწავლა 16 მარიამობისთვეს 1904 წ. არზის შემოტანა შეიძლება ყოველ დროს. უფრო დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება პირადად და წერილობით მიიღოს მსურველმა ქ. იურიევში (ლიფლ. გუბ.), საკუთარ სახლში, კონნაია ქუჩა, № 2.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

# კალოშებისა

**და რეზინის სხვა საქონლისათვის**

## უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

## რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

**ს.-პეტერბურგში**,

დაარსებულს **1860** წელს.



**რეზინის კალოშების** ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოვებს სავაჭრო სახლი

## „ლეოპოლდ ნიუშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკათერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ტფილისსა** და ტაშკენტში.

(60—54).